

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის თემა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

ეკა ხინჭაგაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტ ზეპოლიტიკის
მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ეკა ხინჩაგაშვილი

შინაარსი

აბსტრაქტი1

1. შესავალი 2

1.1 პრობლემის დასმა2

2. კვლევის მეთოდოლოგია 4

2.1 კვლევის შეზღუდვები

4

3. ნეიტრალიტეტის ინსტიტუტის ჩასახვა 5

3.1 სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის არსი 8

3.2 ნეიტრალიტეტი როგორც სტრატეგია 12

4. სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საქართველოს ისტორიაში 15

4.1 ზავი რუსეთთან16

5. ნეიტრალიტეტის თემა ქართულ - პოლიტიკურ კონტექსტში 21

5.1 ნეიტრალიტეტი თანამედროვე ქართულ - პოლიტიკურ დისკურსში 26

5.2 საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გამოცხადების შესაძლებლობები, რისკები, გამოწვევები 32

შედეგების ანალიზი და დასკვნა 36

ბიბლიოგრაფია 39

დანართი 41

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი განხილავს დისკუსიებს საქართველოს შესაძლო ნეიტრალიტეტის შესახებ. ნეიტრალიტეტის იდეის მომხრეების მოსაზრებით, საქართველოს შეუძლია მიმართოს რუსეთს წინადადებით, განაცხადოს უარი ნატოში გაწევრიანებაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში აღიარების სანაცვლოდ. მათი აზრით საქართველოს არ აქვს ნატოში გაწევრიანების არანაირი პერსპექტივა. რომ ნატო ობიექტური მიზეზების გამო არ იღებს საქართველოს ორგანიზაციაში და ცდილობს მის გამოყენებას რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ავანტიურასა და პროვოკაციაში. ასეთ ურთიერთობების გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთმა შესაძლოა იმაზე მკაცრი ზომები მიიღოს, ვიდრე ეს 2008 წლის აგვისტოში მოხდა. აღნიშნული იდეა დიდ წინააღმდეგობაში მოდის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მსურველთათვის. მათი აზრით ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემთხვევაში ეკონომიკურად სუსტი საქართველო ვერ შეუძლებს დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. მას უარის თქმა მოუწევს დასავლეთის მოკავშირე ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობებზე, რაც გამოიწვევს რუსეთის გავლენის გაძლიერებას რეგიონში და საქართველოს სუვერენული უფლებების შეზღუდვას. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია განიხილოს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხთან დაკავშირებული მიდგომები ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში. კვლევა უმთავრესად ეყრდნობა ინტერპრეტაციული კონტენტანალიზის მეთოდს. ბეჭდური და ელექტრონული წყაროების პარალელურად ნაშრომში გამოყენებულია სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით მოპოვებული ემპირიული მასალა, რომელიც წარმოაჩენს სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესახებ შეხედულებებს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომი თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით განკუთვნილია დამწყები მკვლევარებისათვის, პოლიტიკის მეცნიერებების და კავკასიოლოგიის განხრით, რომლებსაც სურთ განიხილონ ნეიტრალიტეტის იდეის არსი და მისი მნიშვნელობა, საქართველოსთან მიმართებაში. აგრეთვე ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის.

ძირითადი	თემატური	საძიებო	სიტყვები:
	სამხედრო-პოლიტიკური		
ნეიტრალიტეტი;	მუდმივი	ნეიტრალიტეტი;	საქართველოს
ნეიტრალიტეტის	პირობები;	ნეიტრალიტეტის	შესაძლებლობები;
ნეიტრალიტეტის	რისკები;	საქართველის	სამხედრო
		უსაფრთხოება;	რუსეთ-საქართველოს
		ურთიერთობა;	საქართველოს
		ჩრდილოატლანტიკურ	ალიანსთან
		ურთიერთობა.	